

რედაქცია

გადავიხსნის პრინციპულად... კლუბის ქვემოთ... ბელის-მოწერა... „დროებას“ შანი:...

დროება

ბაგოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

შანი განსაზღვრული... რედაქცია განსწორებს... მისი განცხადება...

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გასეთი „დროება“

გამოდის იმავე პრინციპით და რიგით და ამავე თანამშრომლების დახმარებით, რედაქციის განმარტებით.

სელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროებას“ რედაქციის განცხადებით, გადვიხსნის პრინციპულად... კლუბის ქვემოთ... „დროებას“ შანი:...

ფასი სელის-მოწერისა:

ერთის წლით: 9 მან. სამის თვით 3 ,, ნახევარის წლით 5 ,, ერთის თვით 1 ,,

რედაქციური სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

სალომონ მადეოზ-ს-ძე და ძე ამისი მანტანგ ნაცვლი მვილინი გულითადის მწუხარებით აუწყებენ...

Table with 2 columns: Item name and Price. Items include მგორესი, მესამესი, მგორთესი, მებუთესი, ალმოსავლეთის პირი, ალმოსავლეთის მგორე, ალმოსავლეთის მესამე, ოქრო, შინაგანის 5% სესხი ბილეთები, პირველი სესხის, მგორე სესხის.

ტელეგრაფი

კაბელობის, 21 იანვარს. ადმინისტრაციის წესით გვგზავნილ ბრძანდებულთა საქმეზე დახმარება...

სახალხო ბანათლება და ჩვენი მომრიგებელ შუამავლები

თფილისი, 22 იანვარს. მომრიგებელ შუამავლებს (მხროვანი პოსტდენიკებს) კანონით უფლება აქვთ, ისინი ვალდებულნი არიან...

მინისტრაციის რჩევითა და ჩაგონებით; მომრიგებელ შუამავლებს კი წილი არა აქვთ ამ წმინდა საქმეში. მაგრამ ამას ვინ მოსთხოვს იმათ, ნეტავი თავის პირ-და-პირი მოვალეობა შეესრულებინათ...

— რას ახდენენ შაგირდებს სწავლაში? — არათერს, მუქთად ვასწავლი. — რა? მუქთად ასწავლი? მუქთაობას აჩვევს ხალხს? მე შენ გიბრძანებ, ახლავე დაითხოვე შაგირდები და დაკეტე ეს რაღაც სკოლა...

ხელმწიფო მიწები იმ პირობით, რომელ-
ნიც რუსეთში იმდროინდელი
ამ საგნისათვის შესახებ ვახ. „გო-
ლასში“ შემდეგ სასიამოვნო ამბავს
კვირბუთობთ:

„მაგკასის თაყვანისმირებელ
მანაწილებს დროს, მთავრობა, რა-
საკვირველია, ადგილობრივ მცხოვ-
რებთა საჭიროებასაც მიიღებს მხედ-
ველობაში. დასასახლებლად მოსულს
ხალხს არაერთი უპირატესობა არ
ექნება, ამ შემთხვევაში, ადგილობ-
რივ მცხოვრებლებს წინაშე და ამას
გარდა არც მაგკასის მთიულებს წა-
ერთმევათ საკუთრებით უფლება თა-
ვიანთ სამშობლო მიწა-წყლის შესა-
ხებ.“

მრთს მდგის გახეთქი იწერებინ,
სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ კავი-
ტისტებს განზრახვა აქეთა, შეადგი-
ნონ აქცონერთა კამპანია იმ განზრახ-
ვით, რომ მაგკასი იქვე გამოიტა-
ნონ და სამხედვარ-გარეთ გაასაღონო.
ჩვენ ვერ მოგვივლია ჩვენი ტყე-
ბისათვის, ვერ გვისარგებლნია და,
მაშ ახლა ეუცადოთ-როგორ მოუ-
ლან და განსაკუთრებით, როგორ
ისარგებლებენ ამით უცხოელები...

ჩვენს გახეთქი იყო ამას წინად
მოხსენებულნი, რომ სიღნაღის მახრში
და იმერეთისკენაც საქონლის ქირი
გაჩენილა და დიდ ზარალს აძლევს
ხალხსაო. მაგკასის სამეურნეო საზო-
გადობას, რომელიც „მოსა-
გვაცნობებს, ყურადღება მიუქცევია
ამ გარემოებისათვის და ამ დღეებში
საზოგადოებას ექნება სჯა იმაზედ-თუ
რა ღონის-ძიებით უნდა მოსპონ ეს
საქონლის ქირი.

ზორილამ გვეწერენ, რომ იქაურ
სამაზრო სასწავლებლის შაგირდებს
წლებადღამდინ ხუთ მანეთს ახ-

«დროების» ფელტონი, 23 ანჯარი.

სამართველოს ისტორიის მასალა
და სურათები
აჯანყება საქართველოში 1802 წელს,
აგნისის თვეში*)

1802 წელს, იენისის თვის დამლევს
საქართველოს მთავარ-მმართველმა გა-
იგო, რომ ალექსანდრე ბატონიშვი-
ლის აზნაური, გვარად ნაცურბიშვი-
ლი, და მასთან მრევანის ხანის
ერთი ჩინოვნიკი ჩასულან იმე-
რეთში; მიუტანიათ იმერეთის მეფე-
სათვის და ბატონიშვილის—იულონის-
თვის ეპისტოლე. ამ ეპისტოლეში,
სხვათა შორის, ეწერა:

მეფე აგროვებს ჯარს და ვითომც
სურსო ომი დაეწყო ლადიანთან; აგ-

*) ეს ამბავი გამოკრებილია სოკო-
ლოვის თხზულებიდან: „Путешествие
въ Имеретию и Грузию“. Издание
общества, исторіи и древностей
россійскихъ при Московскомъ уни-
верситетѣ.

დევინებდნენ წელიწადში სწავლას
ფასს და, რადგან ამ სასწავლებელში
მომეტებული ნაწილი ღირებდა დედ მა-
მის შეილები იზრდებინ, ამის გამო ამ
ფასის გადახდა უჭირდათ; ახლა კი
წელიწადში რვა მანეთი გახადეს სწავ-
ლის ფასიო. ეს ფასის მომატება, ჩვე-
ნის კარგესონდენტის სიტყვით, ისეთი
სამძიმო იქნება, რომ ზოგიერთი
მშობლები იძულებული იქნებიან გა-
მოიყვანონ თავიანთი შეილები ამ
სასწავლებლიდან და გაუნათლებლნი,
უნწავლებლნი დაჰყარონ სახლში.

სოფ. ლიმილამ გვეწერენ, რომ ამ
სოფელში, რომელიც სულ 7-8 ვერს-
ზე მდებარეობს ქალაქიდან და რა-
მელშიაც 400-მდე კარგი შეძლებუ-
ლი ხალხი ცხოვრებს დღემდინ ერთი
სკოლაც არ არის გამართულიო. ამას
წინად გაიხსნა, მართალია, სკოლა,
მაგრამ, რალაც მიზნებით, გახსნის
უმაღლესი, დაიკეტაო. მოთაური არა-
ვინა გვყავს და იმეტომა ვართ ამ
დღეშიო, — გვეწერს კორკესონდენ-
ტი.

შეცდომა გუშინდელს ნომერში ბ.
ახალქალაქელის წერილში, ვიგრამ-
მის მეორე სტრიქონში შეცდომა იყო:
ეწერა: Неправъ Мейровъ. უნდა იყოს:
Значить, ты Непровъ.

„დროების“ კორექსონდენსია

ქახეთი. 12 ანჯარი. ასეთი წელს
შარშანდელზედ უფრო სუსხიანი და
ცუდი ზამთარია; შემოდგომა იყო,
რომ თოვლი ჩამოყარა და ცხლაც არ
აუღია; ხან უმატებს და ხან აკლებს,
უმეტესად კი ჰყინავს.

ამ ყინვის და სიცივის გამო, ცოტა
არ არის გზები შეიკრა და სასმელ-
საჭმელმა ფასი იმატა, თუმც კი წარ-
სულის წლების შედარებით წელს

რეთვე მთავრებში ჯარის შესაკრებად
იყო ბაბა-ხანის სარდარი, რომ იმა-
თის შემცირებით ჩამოვდოთ ტახტი-
დამ ნუხის მაჰმად-ასან-ხანი. ამის-
თანა ბევრი რამ ჰქონდათ სახეში...
შმათერესი მათი მიზანი იყო: შესუ-
ლიყვენ საქართველოში, აგონრებინათ
ეს ბუნებითი მდიდარი და შემკული
ქვეყანა. ამისთანა ამბები ისმოდა
უცხო ქვეყნებიდან. ამ დროს მთავარ-
მმართველი აზნაური ბანაკში იყო;
ეს ამბავი იმას, რასაკვირველია არ
ექაზნიკა. იმავე დროს ერთმა ქარ-
თველმა სარდარმა — ივანე მრბე-
ლიანმა, რომელიც კეთილ-განწყობი-
ლები იყო რუსეთთან, შეატყობი-
ნა მთავარ-მმართველს, რომ დედო-
ფალს ღარიას, მეფის მემკვიდრეს და
ღავითს მხურვალე გულთ სურთ
დასეან ტახტზედ ბატონიშვილი იუ-
ლონი, ამისთვის ისინი ყოველ ღო-
ნისძიებას ხმარობენ მიიკედლონ ხალ-
ხი და ჯარის კაცები, რადგანაც ამ
უკანასკნელებს შეეძლოთ გადაწყვე-
ტა მათი ბედისა და უბედობისა.

თავად მრბელიანი ურჩევდა მთა-

ყველაფრის იაფობა: წინეთ რომ
ფუთს ფქვილს მანეთ და ორმენტად
ცვილულობდით, წელს ოთხ აბაზად
ინეწებინ; აგრეთვე შარშან და შარ-
შანწინ ურემ შეშაში ხუთს და ექვს
მანეთს გაძლევდით, წელს კი სამი და
ოთხი მანეთია; ლინოც არ არის
ძვირი, თავი ლინო თუნგი ოთხი
აბაზია. მრთის სიტყვით, ვიმედოვნებთ
წელს შიმშილით და სიცივით არავინ
მოგვიკვდება.

მაგრამ ამხვე უფრო მეტად გვახ-
რებს ის ამბავი, რომ ჩვენ მომავალ-
ში ერთის მომრიგებელის მოსამართ-
ლის მაგიერ მოგველის ორი: ერთი
გამოდმა, შ. თელავში, და ერთიც
გაღმა, რომელსამე საშუალოდ მდებარე
სოფელში. მისაც არ უნახავს თუ
რა ფართო მოედანი აქვს ჩვენს მო-
მრიგებელს სასამართლოს, — რა ვაი-
ვავლანს იხდის არა მართა მომჩივა-
რი და ბრალდებული, არამედ თვით
მოსამართლეს, საქმის სიბევრის გამო,
ის ვერც იმას იგრძნობს, თუ რამდენ-
ნად უნდა უხაროდეთ ვალმა-გამოდმა
ცხოვრებ კახელებს ამ ორის სასა-
მართლოს ვანწესება.

ბაღმა-მხარში სასამართლოს დაარ-
სებას სად აპირებენ და როდის არ ვი-
ციოთ. ჩვენის აზრით, უკეთესი იქნე-
ბა, — ეს სასამართლო გაიხსნას ან
მისეღში და ან შილდაში, რადგანაც
ეს ორი სოფელი არის შუა ადგილი
ბაღმა-მხარისა, და გაიხსნას რაც შეი-
ძლება ჩქარა. საკვირველია, ღმერთ-
მანი, ანკი აქამდისინ რატომ არავინ
აქცედა ამას ყურადღებას! ჩემის თვა-
ლით მინახავს რომ ბ. თელავის მომ-
რიგებელი მოსამართლე შარანგოზოვი
საქმის გასარჩევად შესულა დილის 11
საათზე და მზე ჩასულა, ისევე ურჩე-
ვია; რომ ვერ გაუთავებია, მეორის
დღისთვის გადაუღვია. მინახავს, რომ
კვირა-უქმე დღესაც კი საქმე ვრჩიოს,

ვარ-მმართველს: საჩქაროდ დაემშვი-
დებინა ადგილებული ხალხი, მოეს-
პო მათი ბოროტ-განზრახვა და შე-
თქმულობა. ამას კიდევ დასძინებდა,
ვითომც ღარია დედოფლი თვითონ
მას შეეხვეწა, რომ მათი მხარე დაე-
ჭირა, ამისთვის აღუთქვა მას სარდა-
რობის და სახლთ-უხუცესობის ღირ-
სების დაბრუნება. მაგრამ თავადმა
მრბელიანმა პირ-მოთნეობით მოს-
თხოვა დედოფალს წერილობითი პი-
რობა, რომ ის არ დაარღვევს თავის
სიტყვას. დედოფალი ამხვედაც და-
თანხმდა, მხოლოდ მრბელიანს უნდა
დაეფიცა, რომ ის დაეხმარება მას;
მაგრამ სარდარმა ამხვედ უარი გამო-
უცხადა, სთქვა: „მე ერთხელ დავი-
ფიცე, ერთგულობა უნდა გაუწიო
მისს იმპერატორობის უდიდებულე-
სობას“.

ამ დროს თელიის მიტროპოლი-
ტი გამოეცხადა საქართველოს მთა-
ვარ-მმართველს და გამგეს, მოახსენა
იგივე, რაც თავად მრბელიანმა, ნუ-
გეშაც აძლევდა, ისეთი არასფერი
მოხდება-რაო და სხე...

რადგანაც წინა დღეს ვერ გაუთავე-
ბია.
მაგრამ მინც უნდა მოიპოვებოდა
მნელად თუ სადმე მოიპოვებოდა სასამარ-
თლო ასე ხალხისგან შეძლებული
და გაიციხული, როგორც ეს.

საქმე რომ გქონდეს რამე ამ სასა-
მართლოში, ჯერ უნდა შენი წლო-
ვანება გაშინჯო — მოესწრები თუ არა
გათავებას და შემდეგ დაიწყო. აქ კა-
ცი რომ იხრჩობოდეს წყალში, ხელს
არავინ მიწვედის: — „მუტკივარი თავი
რაზე ავიტყო, მიროვი სულში რის-
თვის ვიტანტალო მოწმედ ამ სიშო-
რეზედაო“. ბლენი ყველაფერში დაგე-
თანხმება, ოღონდკი ნუ უჩივლებ
ამ სასამართლოში: იმან იცის, რომ
მთელი წელიწადი მინც გასტანს იმი-
სი მისვლა-მოსვლა, იცის, რომ ტყუ-
ილ-უბრალოდ ჯვარს უნდა იკონ
თემიდის ურებმა. აი, ყველა ამის-
თვის საბედნიეროდ უნდა ჩავთვალოთ
ბაღმა-მხარში მეორის სასამართლოს
დაარსება და ვთხოვოთ იმ პირობ, ვი-
საც კი ეს საქმე ექვემდებარება, რაც
შეიძლება ჩქარა დაარსდეს.

მეორე (თუ მართალია) ამბავი
გახლავთ თელავის თავად-აზნაურთა
წინამძღოლს ვითომც უმაღლესის
მთავრობისაგან მიელას მოწერილო-
ბა — შეიტყოს ვინ უფრო ღარიბი და
ვალიანია იმ პირობ შორის, რომელ-
თაც პრიკაზის ფული ჰმართებთ და
წარუდგინოს მთავრობას. ამ საგანზედ
ამბობენ, ვითომც მას ჩამოჰკიდებო-
დენ ჩვენი კეთილშობილთ ტუზე-
ბი: — „ზანდა თუ არა, ჩვენ წაგვა-
დგინეო, ჩვენზე ვალიანი კაცები არ
მოიპოვებინაო“. მთ მართალია ეს
მოწერილობა, ძალიან კარგი იქნება
იმთ სიტყვას არ აჰყვეს თ. რ. მაჩნა-
ძე და ნამდვილად ისინი წარადგინოს,
ვინც ქვრივ-ოხრები და მიწათან გას-
წორებულნი არიან; თორემ პირვე-
ლების წარადგენა, სხვა რომ არა იყოს-

სოტა ხნის შემდეგ გავარდა ხმა,
რომ ხანი ემზადება საომრად, აგ-
რეთვე 2,700 ლეკი სხვა-და-სხვა და-
სებით ემზადებინ, სურსათიც მზათა
აქეთა, ახალ-სიხის ფაშასთან შეერ-
თებას აპირებენო და ამ ნაირად, შარ-
ნაოზის წინამძღოლობით, საქართვე-
ლოს დაცემააო. თემურაზ ბატო-
ნიშვილმა საშინლად შეაწუხა ხალხი:
დაიწყო გარდასახადის (ხარკის) მოკ-
რება, როგორც თვითონ სურამში,
აგრეთვე გარემე მცხოვრებლებზედაც;
მღვდლებს აღუკრძალა რუსეთის იმპე-
რატორის მოხსენება ეკლესიებში და
მისი სახლობის დღეგრძელობა. იმათ
მაგიერად უნდა მოგხსენებიათ საქარ-
თველოს იეფების მემკვიდრეები.
თემურაზი იმერეთში და ახალ-სიხე-
ში სწერდა წერილებს და სურამში
ხმირ-ხშირად კრებას იწვევდა, რჩევას
აძლევდა თუ როგორ უნდა მოქცეუ-
ლიყვნენ.

თელიისში შესანიშნავი მოვლი-
ნება მოხდა: საქართველოს თავ-
და-აზნაურობამ უთანხმოება გა-
მოუცხადა მაშინდელ მმართველო-



რა, თავდაზნაურების შერცხვენა იქნება. იმათ სამხედრო გარეთაც იცნობენ, არამც თუ ჩვენში.

მესამეც, (კიდევ თუ მართალია), განსაზღვრავს სივრცის გზის მეთვალყურეს მელქუმოვის დათხოვნა სამსახურად. ამბობენ ვითომც ერთს მშვენიერს დღეს თავისს უფროს უტყვამს მისთვის: — „ის ორმოცი კაცი, რომელიც არის შენს ხელქვეით ყოველ დღე გზის საკეთებლად, დი-თხოვეო, გარდა ოთხისა, და ამ ოთხის კაცით იოლად წადიო“. რასაკვირველია, ხარჯი და ჯამაგირი კი ორმოცის კაცისა სწორე დაფთარშიო. მელქუმოვს ვითომც გამოუცხადებია, რომ მე არ შემიძლიან ოთხის კაცით ახალი ნაკეთები გზა შეინახო და წამეტყუად ვ. ბოროტება ჩვეი დი-თხოვეო. უფროსს, რასაკვირველია, ეს სათავისო კაცად არა სჩვენებია და დაუთხოვნია. იქნება ეს სულ ტყუილია და იქნება ცოტათი მაინც მართალია, ხომ მეგვსენებათ, გადამხინჯებული ტყუილი მართალიაო; — ურიგო არ იქნება, ამასაც, ვისგნითაც როგია, ყურადღება მიექცეს.

მეოთხეც — განსაზღვრავს სივრცის პირველს ქუჩაზე და ბაზარზე, ღამის შეიღს საათზე კაცურად ჩაცმულის ქალების ზურნაზე თამაში, გასეირნება და გამოსეირნება თავისუფლად ზურნით, უსირცხვილად; თითქმის განგებ დასაცინად იმ პირთა, ვინც ქალაქისთვის ასე თავდადებულნი არიან.

მეხუთეც — ერთს მელქუმოვის ხლო სოფელში განსაზღვრავს განსაზღვრული ჩაღი კეთილშობილთ შორის, თუმცა კი ჯერ ყველიერი არ მოსულა; ამბობენ, ვითომც ეს ჩაღი იმის გამო დაწყობილიყვეს, რომ — „არა, მე უფრო დიდის გვარის ვარ, არა, მეო!“ მაგრამ, რადგანაც მომქმედთ ჰსურთ სიხუმე, ამისთვის ჩვენც აღარას ვიტყვი.

ბას. ქანთში სამსჯავროების დამორჩილება არა სურდათ და მრავალი თავდაზნაურთაგანი მრეწისაკენ აღექვანდრე ბატონის შეილთან გაგზავნა. მართლიდამ იგივე ამბები ისმოდა, თათრებმა უკუტყვევა განიზრახეს. ღარიამ, რომელიც ძლიერ სიღარიბეში იყო, აღექვანდრეს მეფის ძეს გაუგზავნა 1,000 მანეთი და მისწერა, რომ ის ამ მოკლე ხანში აპირებს რუსების თავდაცემას.

მახტანგ ბატონი-შვილმა, რომელიც იმ დროს ლუშეთში იმყოფებოდა, ააღიფა, ააჯანყა მსგებში, შესწავლა ყოველივე კავშირი, მისვლა-მოსვლა რუსეთიდან საქართველოსთან; აგრეთვე შეამჩნიეს, რომ მას ჰქონდა მიწერ-მოწერა თავის ძმებთან იმერეთში და, რაც ძალია და ღონე ჰქონდა, აღიღებდა ხალხს.

იმავე დროს ღვეთ ბატონი-შვილი მუშა ხალხს აგროვებდა, ვითომ იმ აზრით, რომ სურდა გაეხსნა სპილენძის ქარხანა და კიდევაც მოემზადა

ძიღვე არის ერთი საქმე, მაგრამ ის მეორეს წერილისთვის შევიწახოთ. მხლა ვსთქვათ ორიოდ სიტყვა — წმიდა ნინოს დღესასწაულზე, მელქუმოვის საზოგადოებაზე და აქაურს საქალებო სასწავლებელზე.

წმიდანდომი წმიდა ნინოს დღესასწაულზე იცე შეუმჩნეველად ჩაიარა, როგორც კვლავ ჩაუვლია. მელქუმოვის სობორში, სადაც რივი და წესი იყო, დღეს მსმენენი უფრო მომეტებულნი ყოფილიყვენ, ვინც სხვა დროს, ათიოდე ძლიერ მოიბოებოდა ქალი თუ კაცი. მაგერად, არც სულიერ მამებმა შეიწუხეს თავი ქადაგებით და წმ. ნინოს ცხოვრების განმარტებით. ჩვენს დეკანოზს არც კი ეკადრა მომზადებულიყო წირვისთვის და ვილაც სოფლის მღვდლისთვის დაევალებინა წირვა. წირვის თავი დაწინებოთ, მაგრამ ეს ვკითხოთ მამა დეკანოზს: ეკლესიას არ შეუძლიან, რომ ერთი რივიანი ხატი იქონიოს წმ. ნინოსი, რომ ამ ოცის წლის განმავლობაში ყოველ წლივ ანალოზზე გამოაქვთ ერთი უბრალო ხელის გულის ტალა სახე წმ. ნინოსი?

ამ დღესვე იყო დღესასწაული და „სალამოც“ აქაურს წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში. წირვა სასწავლებელს ჰქონდა თავის ეკლესიაში და პარაკლისიც ზალაში გადიხადა. თუ როგორ გაატარა ეს სალამო ამ სასწავლებელმა, ან რით დაიწყო და რით გაათავა, მე ბევრს არას ვიტყვი ამხე, — ვიტყვი მხოლოდ, რომ არ მახსოვს — როდისმე გამოეტანოს რასმე რამე შთაბეჭდილება ამ სალამოდან გარდა ბევრის თამაშით თავბრუ დახვევისა. მე ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ იმ სალამოს გამართვით მოსწავლეთა მშობელთათვის და თვით მოსწავლეთათვის სასწავლებელს კარგი დრო და სახსარი ეძლევა ზედ-მოქმე-

ბორჩალოში წასასვლელად, სადაც, როგორც ამბობენ, სპილენძის მადანი აღმოჩნდა. ამისთანას ბევრს რამეებს ამბობდნენ.

შარნაოზის მოწერილ ბარათებიდგან სჩანს, რომ ის თავის მოძმეებს ჰპირდებოდა იმერლების და ლეკის ჯარის მიშველებას. აღექვანდრეს მისაშველებლად ემზადებოდა, შეადგინა ჯარი სპარსელებისგან და აღალარებისაგან; ეს უკანასკნელები დაარწმუნა, რომ იმათ ნურათფრის ეშინათ, მხნედ იყვნენ ეს არ მოუტანს მათ არავითარ ვნებას, ამას ის ჩადის მხოლოდ მისთვის, რომ განდევნოს რუესები საქართველოდამ. მიიღეს თუ არა ამისთანა ბარათი, აღალარებს ძლიერ გაეხარდათ გაგზავნეს, აღექვანდრეს თან დეპუტაცია საჩუქრით და ყველა დაუყოვნებლივ ელოდ ხელი გაეწყეთ იმისთვის, ერთის პაპა-აღის მეტრი.

ბორჩალოს თათრები გაოფანტნენ მთებში და აღალარებთან შეერთებას აპირობდნენ. უცხო ქვეყნებდამ მოდიოდა ამბები: სპარსეთის ჯარი

დებისა ორთავეზე. აქ სასწავლებელს შეუძლიან მოსწავლეთა მშობლებს გააცნოს თავის ეკონომიური და სწავლის მდგომარეობა, შეატყობინოს ყოველისფერი ავი და კარგი სასწავლებლისა, წარუდგინოს წლიური ანგარიში სასწავლებლის ცხოვრებისა და მოხმოს მოსულნი დასახარებლად თავის მძიმე საქმეში. ღიან, თუმცა სასწავლებელს ეს კარგი დრო აქვს კარგის საქმისთვის, მაგრამ ის სულ ფუჭად ატარებს ამ დროს: მართა მოპატივებულ სტუმრებს იმდენს აცეკვებს, სანამ თავბრუ დაეხვეოდეთ და შემდეგ შინ ისტუმრებს. ამას გარდა, ეს კარგი დროა თვით მოსწავლეთაც „სოცხალის სიტყვით“ და მაგალითებით ჩაუნერგოს გულში მიზანი სასწავლებელში ყოფნისა; მაგრამ მოსწავლენი აქ მართა ცეკვაობას ჰხედვენ და თავში ებადებათ ის აზრი, რომ ცეკვაობა არის პირველი ღონის-ძიება მათის ქვეყნად გამოავლინა. მართის სიტყვით, ებადებათ ფუჭად სიციცხლის გატარების სურვილი. მე რომ მქონდეს რამე, ვაღიენა ამ სასწავლებელზე, უტყვევლად ამ სალამოს გატარებას სასწავლებელში შეეცვლილი: მოვიწვევი მოსწავლეთა მშობლებს თელაველთ და არა-თელაველთ; წარუდგენდი სასწავლებლის ანგარიშს; ვაგრძნობინებდი მათ სასწავლებლის ყოველს კარგს და აესა. ამას გარდა ვალად დაედებდი რამდენთამე პირთა — ეთქვათ სიტყვა შესახებ სწავლა-განათლებისა და მომავლის აქ აღზრდილ ქალების მოვალეობისა, დაუხატავდი ცხადად ქალებს მათს მოვალეობას შესახებ ქვეყნისა, მამულისა და ოჯახისა. ამითი მშობლები ცოტაც არის გაიცნობდნენ სასწავლებელს და დანაშთენ შეიღებნაც გაიმეტებდნენ გასაზრდელად. ამასთანავე გაუმართავდი, ამავე მოზარდ ქალების შემწეობით, სტუმრებს სვექ-

პირ-შული-ხანის სარდლობით მრეწნის სამხედროებს მოაღვათ. ბანზრახეა ჰქონდა ხანისათვის არიმა (კონტრიბუტია) ეთხოვნაო.

მრეწნის ხანი ვაჭირებულ მდგომარეობაში იყო: ვაგზავნა მთელისში შიკრიკი მწერ სულთანს და ევედრებოდა! რაიმე შემწეობა მიეცათ და გამოეხსნათ ის მტრებისაგან; ამისთვის ის სთხოვდა, რომ რუსის ჯარი მიხმარებოდა მას, მაგრამ მთავარ-მმართველმა შეუთვალა ხანს, რომ ის შეატყობინებს ამ თხოვნასო, ვისაც ჯერ არს, და ამ სიტყვებით გაისტუმრა ხანის გამოგზავნილი კაცი.

ამისთანა არეულ-აღელვებულ დროს მთელისში ჩამოვიდა, ვითომც თავის ნათესავების სანახავად, იმერეთის მეფის მდივანი სოლოჰან ლეონიძე. ღარია დედოფალი დიდ ხანს ცდილობდა გაეგზავნა მდივანი ლეონიძე მთელისში თავის მიზნის სისრულეში მოსაყენად. ამ ლეონიძემ მოიტანა ორი ფირმანი, რომელნიც ვითომ

ტაქს მათისავე ცხოვრებიდან, წავაკითხებდი ლექსებს თუ პროზას; კიდევ ვამღერებდი და ვაცეკვებდი ანტრაქტებში; ერთის სიტყვით, შევაერთებდი სულის და სხეულის ვარჯიშობას და დროს-გატარებდას.

და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემი „სალამო“ უფრო დიდს სარგებლობას მოიტანდა და უფრო სასიამოვნოც იქნებოდა, ვინც დილიდამ შუა-ღამემდის ცეკვა და თავბრუ ხევეა, მაგრამ, ხომ მოგვხსენებათ — მე ვინა ვარ და ჩემს სიტყვას ვინ აპყვება.

ჭონი.

უცხოეთი

(გაგზავნილი)

საზრანგეთში. ბაზეთებში შემდეგ ცნობებს ვკითხულობთ ბამბეტას სამინისტროს გამოცვლაზე:

როდესაც ნაციონალურ ძრებაში კონსტიტუციის მუხლების შეცვლაზედ ჩამოვარდა სჯა, ბამბეტას მომხრე დეპუტატმა ღრეიჭურმა სთქვა, თუ გვინდა, რომ სენატმა მიიღოს ეს პროექტი, ზოგიერთ მუხლების შეცვლაზედ უნდა დაეთანხმდეთო. ღვეუტატი ლეგრანი წინააღმდეგია სამინისტროს პროექტისა, რომლის ძალითაც მომავალ ძონგრესს (დეპუტატებისა და სენატორების შეერთებულ კრებას) უნდა ექმნეს უფლება მხოლოდ კონსტიტუციის იმ მუხლებზე მოილაპარაკოს, რომლებზედაც წინათვე იქნება სჯა ნაც. ძრებაში და სენატში; ძონგრესს უნდა ექნეს უფლებაო, რომ ყველა მუხლებზე იქონიოს სჯაო. ამას გარდა ლეგრანი წინააღმდეგი ბამბეტასაგან წარდგენილის იმ მუხლისა, რომლის ძალითაც შემდეგში დეპუტატების კენჭისყრა მთელის საფრანგეთისათვის საერთო სივით უნდა მოხდეს. თუ ამ

იყო ვაგზავნილი იმერეთის მეფესთან ბატონი-შვილ იულიანთან ბაბა-ხანისაგან. პირველ ფირმანში სპარსეთის მფლობელი უბრძანებდა მეფეს მოეხმარა ყოველი ღონის-ძიება და მოხმარებოდა ბატონის შვილის იულიანის ტახტის ასვლაზე. მეორე ფირმანით ბაბა-ხანი ქართველ ერს საქვეყნოდ უტყუებდა, რომ იულიანი მთელ საქართველოს მეფედ ჯდებოდა. მრეწე ფირმანი ლეონიძემ წარუდგინა საქართველოს მმართველს და მოახსენა, რომ მეფეს და ბატონის შვილს იულიანს არა სურსთ იხმარონ ეს ფირმანები თავის სასარგებლოდ „სანამ მისი იმპერატორებთა უუდიდებულესობა არ იწებებს ისინი დამტკიცოსო. ეს ფირმანები, როგორც შინაარსით და სტილით (კლოთი) სჩანს, უტყველია, თვითონ ამ ლეონიძისაგან დაწერილია უნდა ყოფილიყო!

(დასასრული შემდეგში).

წინადადებას უკან წაიღებს მმართველობა, დათანხმება აღვიღალ შეიძლება

დებუტატი ლოკრუა მმართველობის პროექტისა და კამისიის პროექტისა და წინააღმდეგია; იმის აზრით, კონგრესმა მთელი კონსტიტუცია უნდა გადახედოს და მოსპოს სენატი.

15 იანვარს საღამოს სსდმამზე, დებუტატთა პალატამ უარ-ჰყო დებუტატის ბაროდეს წინადადება, რომ კონსტიტუციის სრულს გადახედვებ.

ამის შემდეგ კათედრაზე ავიდა ბამბეტა და, სხვათა შორის სთქვა, რომ სრული გადახედვა კონსტიტუციისა საფრანგეთს ააღივებს. ის სრულიად არ ჰფიქრობს დიქტატურაზედ. სიებით კენჭის-ყრის წესი საუკეთესო საშუალება იქნება დიქტატორების წინააღმდეგ; თუ გვინდა რეფორმების გზას დავადგეთ, სიებით კენჭის-ყრა უნდა შემოვიღოთ. შემდეგ ბამბეტა წინადადებას აძლევს კრებას უარ-ჰყოს კამისიის პროექტი და მიიღოს მმართველობის აზრი.

პალატამ, 282 ხმის უმეტესობით 227 ხმამ, მიიღო პირველი მუხლი კამისიის წინადადებისა, რომლის ძალითაც კონგრესს უფლება ექნება, რომ მთელი კონსტიტუცია შესცვალოს. ბამბეტამ გამოაცხადა, რომ ამ აზრის მიღების შემდეგ სამინისტრო ბასში მონაწილეობას ევლარ მიიღებს. ამის შემდეგ პალატამ მიიღო აგრეთვე ის მუხლი კამისიის წინადადებისა, რომლითაც უარ-ჰყოფდა სიებით არჩევს წესსა.

იმავ დღეს საღამოს, ბამბეტამ და ყველა იმის აზრანაგებმა მინისტრებმა რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგინეს სამსახურიდამ დათხოვნის ქალაქი. შულ ბრევიმ, როგორც ტელეგრამებში ვიცით, შეიწყნარა ბამბეტას სამინისტროს თხოვნა და ახალი სამინისტროს შედგენა ჩრეისინის და ლეონ სეს მიანდა.

განცხადებანი

ი. მურადავის

წიგნის მაღაზიაში

კუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველგვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჭო და საქალბო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. პრის აგრეთვე დიდ-ძალი სა-მოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნისა და-გვარად დახაზული რვეულები, ასი-5 მანეთი, მუხიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მა-

საღვები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნისა მალაზია დაუყოვნებლივ ასარულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50-46)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: ზანესისა 40

კაბ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაბ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100-61)

ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში (ბა-ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იონანი-სიანთან (ოკრუფნის სულს ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა: წითელი ფარანი, ფასი 15 კ. ხატაური — — — 10 კ.

თვილ. ქალაქის გაგებობისა

26 ამ იანვრის თვეს თვილისის ქალაქის გაგებობისაგან და-ნიშნულია ვაჭრობა შხებნის და გრავის იჯარით აღებაზედ ქუჩების შესაკეთებლად დასჭირდება 1.0 კუბიკური საყენი შხებნი მისანილისა და ვორონცოვის მოსხეების შესაკეთებლად და 140 კუბიკური საყენი გრავი აფთიაქის და ბუფგრის ქუჩებისათვის და კახეთის ლინეინის კახარმებთან და ლახარევის, სოჯივანის სასაფლაოზედ მიძავალ მოსხეებისათვის.

გამგობა იქვეს ამ ქვარის ამღების მსურველთ მობრძან-დნენ ვაჭრობაზედ, 11 საათზე დილით ქალაქის გამგეობაში.

ყოველგვარი პირობების გაგება, რაც შეესება ამ საგანს, შეიძლება ამისათვის დანიშნულს განყოფილებაში (Строительное Отделение) გამგეობისა დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (3-3)

СЪ 1-го ЯНВАРЯ 1881 ГОДА

Г А З Е Т А

КАВКАЗЪ

ВЫХОДИТЪ ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ

ежедневно, не исключая понедѣльниковъ, въ количествѣ 345 №№ въ годъ.

Редакція приметъ всѣ зависящія съ ея стороны мѣры, чтобы придать газетѣ возможно большій интересъ, какъ расширеніемъ программы, такъ и полнотою отдѣловъ, причеиъ преимущественное вниманіе будетъ обращено на разработку мѣстныхъ вопросовъ.

ПРОГРАММА:

- Часть официальная: Указоненія, дѣйствія и распоряженія правительства, Высочайшіе приказы, указы Намѣстника, циркуляры Намѣстника и Главнаго Управленія, извѣщенія, разнаго рода правительственныя и служебныя распоряженія.
- Часть неофициальная: I. Руководящія статьи: по вопросамъ, имѣющимъ общегосударственное или мѣстное значеніе. Ознакомленіе съ внѣшними политическими событіями преимущественно въ восточныхъ государствахъ, сопредѣльныхъ съ Кавказомъ.
- II. Мѣстные извѣстія: а) Корреспонденціи изъ главнѣйшихъ пунктовъ края. б) Столичная и иностранная пресса о Кавказѣ. в) Туземная пресса: армянская, грузинская, татарская. г) Ходъ городского самоуправленія д) Новости о событіяхъ русской жизни. е) Тифлисская городская хроника, ж) Судебная хроника. з) Отчеты о засѣданіяхъ мѣстныхъ ученыхъ и другихъ обществъ.
- III. Фельетонъ: а) Этнографическія статьи, бытовые очерки и путешествія по Кавказу. б) Рецензіи на книги, выходящія въ Россіи и за границей, касающіяся Кавказа. в) Обзорніе общественной жизни. г) Научное обзорніе.
- IV. Смѣсь. Курьезы, анекдоты и разныя извѣстія.
- V. Справочный отдѣлъ.
- VI. Казенныя и частныя обявленія

Условія подписки:

	Съ доставкою въ Тифлисъ.		Съ пересыл. ииогородн.	
	Руб.	Коп.	Руб.	Коп.
На годъ	11	50	13	—
На полгода	6	—	7	—
На три мѣсяца	3	50	4	—
На одинъ мѣсяць	1	50	1	75

Подписка привимается въ г. Тифлисъ, въ конторѣ газеты „Кавказъ“, на дворцовой улицѣ, въ домѣ № 5. Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Кавказъ“. Разерочка платежа подписныхъ денегъ допускается на слѣдующихъ условіяхъ; для городскихъ подписчиковъ: при подпискѣ 5 р., въ концѣ марта 4 рубля и къ 1-му августа 3 руб. Для иногородныхъ: при подпискѣ 6 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го августа 3 р. (3-3)

ისყიდება

25% ნაკლებ მიწის ნაკვეთებს, ხაი, ვაკაო, შველადი, ბისკვიტი, მუ-რასა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თევშები, ჩაინიკები, სუფაგები, ფოდნასები, შირის-სახანი, კლიტეები, სამურკედი, ტანისამოსის საკიდი, გოვსები, დასები, კაღები, ქაღალდი, განკერტები, რვეულები, განანდაშები, თოფები, რველავრები, გრავები, შლამ-ჩები, ვანები, ქამრები, საყუღურები, გლი-ონკა, უნაგირები, ლაგები, უთოები, ტასტები, შირისსაფცი, ცხვირის-სასაფცი, ხუჭები, ტუფეტის საზანი, დუხები, შარბათი, ციტმატმანგუზია, ქინას ღვი-ნო, შარტ-გეინი, სერესი, კონიავი და ათასი სხვ. რამეები, — ინგლისის მა-ღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭრობისა ნარ-დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და ვარკანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უშირველი ხარისისა 2 მ. — წონა უქდადდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრი-კადამ—120 მან. რველავრები 4—34 მან. და ბუფდგისა 11—20 მ. ქაღის უნაგირები 65 მან-დამ; შეჭიდის და-ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კამ-დამ დუქი, ალბომები ნასკვარ ფასად, ფილ-ტრები და სხვ.

ყველსზედ უმრავლესი ამარჩევს თოფუ-ბისა და რველავრებისა თვილისში. (100-68)

ისყიდება

- 15,000 თევში 1 ხ.რისისა, თი-თო 15 კაბ.
- 12,000 ბროლის სტაქნა თითო 25 კაბ.
- 10,000 ბაკალი და სტაქნა თითო 10 კაბ.
- 10,000 ფოდნასი და გასაღები თითო 15 კაბ.
- 10,000 ნეესი, 8 კ. 40-მდინ ასი.
- 10,000 შეჩაღი თავის პრიბორით თითო 5 კაბ.
- 5,000 ბოთლი შარტგეინისა და სერესის თითო 1 მან.
- 2,000 არშინი კლიონკა 60 კაბ. 2 მან. არშინი.
- 2,000 დიუქინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაბ. დიუქ.
- 2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაბ. გირვ.
- 1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლე-ზიოშკა 50 კაბ. გირვ.
- 600 ინგლისის რველავრები 4 მან. 34-მდი.
- 300 ინგლისის თოფი თითო 20-100 მან.
- ღრაპი, მაული, ტრიკო, ალბომე-ბი, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ-ფასად. ინგლისის მაღაზიაში. (40-25)